საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის [illegible] წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№11 (6600) 10 მარტი ხუთშაბათი 1994 წელი

## რაიონული საკრებულოს გამგეობაში

### შევეწიოთ გაჭირვებულთ

რაიონული საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი რაიონში მარტოხელა შრომისუუნარდაკარგულ მოქალაქეთა, პენსიონერთა და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ფონდის შექმნის შესახებ.

გამგეობაზე აღინიშნა, რომ რაიონში ამჟამად ცხოვრობს 164 მარტოხელა შრომისუუნარდაკარგული მოქალაქე, 196 ძლიერ გაჭირვებული პენსიონერი და 188 ინვალიდი ბავშვი, რომლებსაც გარდა პენსიისა, არსებობის სხვა რაიმე წყარო არ გააჩნიათ. დღეს გართულებულ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობებში ძალზე უჭირთ არსებობა, ხოლო მათი დახმარებისათვის რესპუბლიკური თუ რაიონული ბიუჯეტიდან თანხები არ გამოიყოფა. გამგეობამ მიზანშეწონილად ჩათვალა რაიონში შეიქმნას მარტოხელა შრომისუუნარდაკარგულ მოქალაქეთა, გაჭირვებულ პენსიონერთა და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ფონდი.

ფონდის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და ფირმების მუშაკებმა.

გამგეობამ მიიღო სოციალურ საკითხთა განყოფილების წინადადება რაიონში მარტოხელა შრომისუუნარდაკარგულ მოქალაქეთა, პენსიონერთა და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ფონდის შექმნის შესახებ.

დაავალა რაიონის წარმოება-დაწესებულებების, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ორგანიზაციათა, კოოპერატივებისა და ფირმების ხელმძღვანელებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ მუშა-მოსამსახურეებთან ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე და ნებაყოფლობით საფუძველზე მიაღწიონ, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა ამ კეთილშობილურ საქმეში. ყოველ კვარტალში ერთ თვის ხელფასის 1 პროცენტი ჩარიცხონ ყველაზე უფრო გაჭირვებულ მოქალაქეთა დახმარების ფონდში ცაგერის აგრომრეწვბანკში №14261 ანგარიშზე.

## საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია

მიმდინარე წლის 18—20 მარტს გაიმართება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობა. ამიტომ ამჟამად ყველა რაიონულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს კონფერენციები ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

7 მარტს რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია დღის წესრიგით:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვა;
2. მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობის დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წესდებისა და პროგრამის პროექტები წაკითხვით გააცნო კონფერენციის მონაწილეებს მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ დავით სვანიძემ.

გივი ხეცურიანმა, ვაჟა ჭაბუკიანმა, დადაში მეშველიანმა, კარლო კვირკაშვილმა და პიერ ფუტკარაძემ გამოსვლებში გამოთქვეს ზოგიერთი შენიშვნა წესდების შესახებ.

დღის წესრიგის მეორე და მესამე საკითხებზე ხელმძღვანელ ორგანოებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობის დელეგატების არჩევნების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საორგანიზაციო მდივანმა ვლადიმერ ქარსელაძემ.

გაიმართა არჩევნები.

კონფერენციამ აირჩია მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბირო 39 წევრის შემადგენლობით.

კონფერენციამ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია დავით სვანიძე, მოადგილეებად კარლო კვირკაშვილი, ვაჟა ჭაბუკიანი, ოთარ კვენეტაძე. გამგეობა განისაზღვრა 7 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობის დელეგატებად არჩეული იქნენ დავით სვანიძე, კარლო კვირკაშვილი, ვაჟა ჭაბუკიანი, მამუკა ჩაჩხიანი, ნატო სილაგაძე, რუსუდან ახვლედიანი, ნოდარ ცვარიანი, ოთარ კვენეტაძე, ლეილა მეშველიანი, ამირან ახვლედიანი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცენტრალური სათათბიროს წარმომადგენლები შუქრი ცხვედიანი, გია ასათიანი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დასავლეთ საქართველოს ზონის ინსპექტორი გოგი ჯავახიშვილი.

## მადლით აღბეჭდილი კვირა

### ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში კვლავ აღევლინება წირვა-ლოცვა

ამ დღეს კარგა დიდი ხანია ელოდნენ ცაგერში ღვთის მადლით ჯერ კიდევ შემორჩენილი ჭეშმარიტი მორწმუნენი — ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი კვლავ ამოქმედდა. 1 მარტიდან მოყოლებული აქ წირვა-ლოცვა არ შეწყვეტილა. ორჯერ აღავლინა წირვა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა.. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი, ვისაც ჯერაც არ გაუგია, ვახარებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიაში დაინიშნა მღვდელი—მამა იოანე (როსტიაშვილი). იგი ახალგაზრდაა და თუმცა ოჯახი და ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს, თბილისისკენ ეწევა მისი ყოფილი მრევლიც (გლდანის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ), იმედოვნებს, რომ ღვთის შეწევნით არ გაუჭირდება ჩვენთან ღვთისმსახურება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ უწმინდესისა და უნეტარესის ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ერთი ჩვენი თანამოქალაქის ძნელად წარმოსადგენმა მოწადინებამ ლეჩხუმში ღვთისმსახურების აღსადგენად. ამ ადამიანს ჯემალ ჩიკვაიძე ჰქვია და მისი სამუშაო (იგი ცაგერის მინერალური წყლის ჩამომსხმელ საამქროში მუშაობს) არაფრით არაა დაკავშირებული ეკლესიასთან. ამის მიუხედავად მრავალჯერ ესტუმრა საპატრიარქოს, ცაგერში არსებული ვითარების ახსნის (იგულისხმება სექტანტთა მომრავლება ლეჩხუმში) შემდეგ მისმა ძალისხმევამ და დაჟინებულმა თხოვნამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო—ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში კვლავ აღევლინება წირვა-ლოცვა.

### მისიონერები

ზემოთ უკვე ხსენებული მეუფე დანიელი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსი და ამავე დროს საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელია. ამ განყოფილების სახელწოდება მკითხველს ადვილად მიახვედრებს, რომ მისი დანიშნულება საქართველოში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ქადაგება და გავრცელებაა. ბევრს ისიც ემახსოვრება (ამაზე წერდა ჩვენი გაზეთი), რომ ამ განყოფილების წარმომადგენლები შარშან ზაფხულს ერთი კვირით ეწვივნენ ლეჩხუმს, მაშინ მოხდა ცაგერის უახლეს ისტორიაში არნახული რამ—მისიის ხელმძღვანელმა მეტეხის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა პავლემ მდინარეში მონათლა 20 ადამიანი. ამას წინ უძღოდა წირვა-ლოცვები ცაგერის ღვთისმშობლის ტაძარში, საფლავების კურთხევა, ქალაქის დალოცვა, შეხვედრები ადამიანებთან, ქადაგება ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისა. და აი, ჯერ ერთი წელიც არ გასულა, და მისიონერები ისევ ცაგერში არიან, ამჯერად მეუფე დანიელის ხელმძღვანელობით. მისიის შემადგენლობაში იყვნენ დეკანოზი მამა პავლე, (ფაჩუაშვილი), მცხეთის (სამთავროს) დედათა მონასტრის იღუმენია დედა ქეთევანი, მონაზვნები, მორჩილები. მისიის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე სოხუმის მამათა და დედათა მონასტრების თითო წარმომადგენელი—მორჩილი მამუკა და მონაზონი დედა ტაისია.

რადგან სიტყვა სოხუმზე ჩამოვარდა, ძიხდა ალვნიშნო, რომ ალმოდებული სოხუმიდან ყველაზე ბოლოს სწორედ ისინი გამოვიდნენ, სოხუმის მონასტრების ბერ-მონაზვნები, მაშინ იქ იმყოფებოდა მეუფე დანიელიც, რომელიც 16 სექტემბერს აფხაზების მიერ ხელშეკრულების დარღვევისა და სოხუმზე შეტევების განახლებისთანავე ჩამოფრინდა მოსკოვიდან, სადაც საქმიანი შეხვედრა ჰქონდა მსოფლიო მართლმადიდებლური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სოხუმში მეუფესთან ერთად გაემგზავრა თითქმის მთელი მისია. ღვთისმსახურები გადიოდნენ ფრონტის წინა ხაზზე, ლოცავდნენ და ღვთის სიტყვას აზიარებდნენ მებრძოლებს, ნათლავდნენ, ამხნევებდნენ, თვითონვე უჩვენებდნენ სიმამაცის გაკვეთილებს. გამხეცებული სეპარატისტები არც მათ ინდობდნენ უიარაღო ღვთისმსახურებს. კამანში დახვრიტეს იქაური მღვდელი მამა ანდრია, ვის ცხოვრებასა და სიკვდილზეც დღეს ლეგენდებს ჰყვებიან.

(დასასრული მე—2 გვერდზე)

## რას ფიქრობს ხალხი

# სნგ— ვისთვის პანაცეა, ვისთვის...

**ასეთი დიფერენცირებული აზრი ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად ყოფილა. ეს ბუნებრივია, საქართველო ოფიციალურად გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. გაწევრიანდა ამდენი სისხლის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური თუ სულიერი ნგრევის, აფხაზეთის და კიდევ რამდენი რამის დაკარგვის შემდეგ.**

**პოლიტიკური მუხტი ყველას შეგვეხო, რადგან საქმე ეხება ჩვენს შვილებს, მათ ხვალინდელ დღეს საქართველოს მომავალს, ერის გადარჩენას.**

**ჩვენც გადავწყვიტეთ საქართველოს ისტორიაში ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე შემოგთავაზოთ მკითხველის რადიკალურად საპირისპირო მოსაზრებანი რედაქციის მხოლოდ და მხოლოდ ერთ კითხვაზე:**

**როგორია თქვენი აზრი საქართველოს სნგ—ში შესვლის თაობაზე, რას მოუტანს ეს საქართველოს, მის მომავალს?**

**—ჩემის აზრით,** სნგ—ში შესვლა სწორი პოლიტიკური ნაბიჯია, მჯერა, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, უკეთესობისკენ წავალთ. შევარდნაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისგანაც ბევრს სასიკეთოს მოველი.

**—დამოუკიდებელ** სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა ამ ეტაპზე პროგრესული ნაბიჯია. თითოეული ჩვენგანი ნათლად ვხედავთ, რომ გაწყდა ყოველგვარი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან, დაინგრა ჩვენი სახალხო მეურნეობა, ქვეყანა ფაქტიურად შიმშილობს, მოსახლეობის მეტი წილი უმუშევარია, ესეცაა ახალგაზრდობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. მოხდა ... ინფლაცია, ვფიქრობ, თანამეგობრობის ქვეყნებთან აღდგება ძველი კონტაქტები, მივიღებთ ... სანედლეულს, საწვავ—საცხებ მასალებს, გამოინახება საერთო ენა, გონივრული მოქმედების შედეგად საქართველოს შეუძლია წინ წასწიოს ქვეყნის ეკონომიკა, გამოიყვანოს ადამიანები უკიდურესი სიღარიბიდან.

**—წყალწაღებული** ხავსს ეჭიდებაო, ასე ვუყურებ სნგ—ში ჩვენს შესვლას;

**—ჩემის აზრით,** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, რა მრწამსიც აქვს, იმას აკეთებს, შესაძლოა თავის მხრივ, მართალია, არ ვიცი, ამას მომავალი გვიჩვენებს, მე კი, როგორც კი განაცხადა სნგ—ში შესვლის თაობაზე, ძაძებს ჩავიცვამ—მეთქი, ვიფიქრე;

**—რა გითხრათ,** აბა მე პირადად სნგ—ში შესვლა არ მიმაჩნია ამ ეტაპზე ტრაგედიად. დიპლომატი ქვეყანა დროის შესაბამისი მანიპულაციით ყოველგვარ პოლიტიკურ ნაბიჯს ქვეყნის სასარგებლოდ მიმართავს. ტრაგედია ის არის, რაც ჩვენ გვჭირს. გაუტანლობა, შური, დღევანდელი სიტუაციის არ გათვალისწინება. პირდაპირ ურთიერთსიძულვილი. იცით, რას ვფიქრობ ხანდახან?—საქართველო არავის სტკივა, პირადი სტკივა სამწუხაროდ, თითქმის ყველას—აი, ესაა ტრაგედია, თორემ ვფიქრობ სნგ—დან გამოსვლაც ადვილად შეიძლება თუკი ჩვენ გვაქვს საკუთარი ნების, საკუთარი გონებისა და სინდისის იმედი ავაშენებთ კი დამოუკიდებელ სახელმწიფოს?;

**—სნგ—ში შესვლა?**—რა ვიცი აბა, კაცი იმედით ცოცხლობს;

**—მე პირადად** თანამეგობრობის იმედი არ მაქვს.

**—პოლიტიკამ** ბევრი მანევრიულა და პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, დღეს რესპუბლიკისთვის ეს ნაბიჯი აუცილებელია. ჯერ ერთი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, პოლიტიკური მდგომარეობის გამო. თანაც რუსეთთან საუკუნეები გვაკავშირებს, საერთო ადათები გვაქვს, ბევრი ერთმანეთის თვისება გავითავისეთ, სარწმუნოება ერთი გვაქვს და მთლად თუ არ ჩაგვყლაპავს და ეროვნულს დაგვიტოვებს ასე სჯობს. რას ვგულისხმობ ამაში: საბჭოთა კავშირის დროს ჩვენ ვერავინ გვცნობდა ამჯერად ჩვენ უნდა გვქონდეს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი ყველა სახელმწიფოებრივი ღირსება, მხოლოდ რუსეთთან ვიყოთ კარგ, მეგობრულ, ეკონომიურ დამოკიდებულებაში. ეს შეიძლება, მაგრამ მთავარია, ჩვენ როგორ ვიმოქმედებთ



## დედის დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფ... ორივე სიცოცხლის საწყისია ... თმანეთს გაზაფხული და 3 მარტი—დედის დღე.

ამ დღეს მიეძღვნა ღვირიშის სასოფლო კლუბში 2 მარტს ჩატარებული შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ მრავალშვილიანი და შრომის ვეტერანი ქალები.

ღვირიშის სასოფლო კლუბში ამაღლებული განწყობაა. მაგიდაზე გაზაფხულის მახარობლის იასაგან შეკრული თაიგულები აწყვია ქალებისადმი მისართმევად.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სასოფლო კლუბის გამგემ მ. ახვლედიანმა. მოხსენებით „ქალი დედა, ქალი—ლეგენდა“ გამოვიდა ღვირიშის საშუალო სკოლის დირექტორი ტრისტან გუგავა.

ღვირიშის სასოფლო კლუბისა და საშუალო სკოლის მხატვრულმა თვით მოქმედმა კოლექტივებმა (ხელმძღვანელები ლ. ფრუიძე და ლ. ახვლედიანი) გამართეს კონცერტი, რომელზეც წარმოდგენილი იქნა ვ. პატარაიას და მ. გოგიაშვილის ერთმოქმედებიანი სკეტჩები, მინიატურები, იყო სიმღერები და ლექსები.

**მ. ახვლედიანი.**

# მადლით აღბეჭდილი კვირა

**(დასასრული).**

მეუფე დანიელი დანარჩენებთან ერთად ჰუბერის გზით გადმოვიდა სამშვიდობოს. იქ, ყინულოვან უღელტეხილზე მამა პავლემ ფეხი მოიტეხა, მაგრამ თავს დატეხილი უბედურების მიუხედავად ღვთისმსახურნი ცდილობდნენ სხვისთვის შეემსუბუქებინათ გაჭირვება. ლტოლვილებმა მიამბეს, როგორ ეხმარებოდნენ ისინი გათოშილ და დამშეულ ხალხს, უმზადებდნენ საჭმელს, ეშველებოდნენ და ამხნევებდნენ.

ცაგერში მისიის სტუმრობას საკმაოდ დატვირთული პროგრამა ჰქონდა. ყოველდღიური წირვალოცვების გარდა იყო კურთხევა და დალოცვა, ქალაქის, მისი ქუჩებისა და სახლების, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ქალაქის სასტუმროსი, რომელიც ახლა ლტოლვილთა სამყოფლადაა ქცეული, ცალკე უნდა აღინიშნოს მღვდელმთავრის შეხვედრა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან და სკოლის კურთხევა. შთამბეჭდავი იყო მცირე ხნით თითქოს ეკლესიად ქცეული სკოლის სააქტო დარბაზი, სადაც ჩვეულებრივი ღვთისმსახურება აღივლინებოდა, ამ ღვთისმსახურებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეები და პედაგოგები, რომლებიც მუხლმოყრილი ლოცულობდნენ და პატარა მორწმუნეთა გულმოდგინებით გამოწვეული მღვდელმსახურთა სიხარული. სკოლის დირექციის მეცადინეობას ნაყოფიც კარგი გამოუღია, ამის დასტურია ისიც, რომ ტაძარში წირვა—ლოცვაზე ცხადად იგრძნობა ამ სკოლის მოსწავლეთა სიმრავლე. და იმის მიუხედავად, რომ დღეს ხშირად იცოდებენ ბავშვებს დღევანდელი გაჭირვების, ეკონომიკის კრიზისის გამო, მე მაინც მგონია, რომ ისინი ადრინდელ თაობებზე ბედნიერნი არიან. მოკლადი და კარაქი არაა ყველაფერი, ვინაიდან ბრძანებს უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე: „სული უმეტესია, ვიდრე საჭმელი და სხეული—ვიდრე სამოსელი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შაბათი დღე, როცა ტაძარში აღევლინა წირვა და აღესრულა ღვთის უდიდესი საიდუმლო—ზიარება, ხოლო შემდეგ მამა პავლემ ოცდაათზე მეტი ბავშვი მონათლა მდინარეში „მწვანე თეატრზე“. და ეს იმ დროს, როცა ციოდა მარტისთვისაც კი უჩვეულოდ. ზოგს „დუბლიონკაშიც“ სციოდა, ღვთის მსახურნი კი იდგნენ წელამდე წყალში და ნათლავდნენ გაოცებულ ბავშვებს.

### მოწყალება

### ღვთის სახელით

მისიონერები მხოლოდ ღვთის სიტყვით არ ჩამოსულან ცაგერში. მათ ჩამოიტანეს ჰუმანიტარული დახმარება—ორ ტონამდე ვერმიშელი გაჭირვებულთა და ქვრივ—ობოლთა დასახმარებლად.

საერთაშორისო მართლმადიდებლური ეკლესიების საქველმოქმედო ორგანიზაციის თბილისის ფილიალს, რომელმაც ეს დახმარება გამოგზავნა, ხელმძღვანელობს მორჩილი მათე (მერაბ) ბოლქვაძე, რომელიც ამასთან საპატრიარქოს მისიის და ევანგელიზაციის განყოფილების თანამშრომელია. ეს ფილიალი ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვეა არსებობს (ჩამოყალიბდა 1993 წლის ოქტომბერში), მაგრამ უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო. ჰუმანიტარული დახმარება ჩაიტანეს ჯავახეთში, მესხეთში, კახეთში, ჭიათურაში. ჯერჯერობით ეს დახმარება არაა სისტემატური, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ფილიალი ჩამოყალიბდება საპატრიარქოს ჰუმანიტარული დახმარების განყოფილებად და გადაწყდება ორგანიზაციული და ფინანსური პრობლემები, ჰუმანიტარულ დახმარებას რეგულარული სახე მიეცემა. დაზუსტდება და დაკონკრეტდება რაიონში უკიდურესად გაჭირვებულთა სიები და დახმარება მკაცრად რეგლამენტირებული იქნება, ამჯერად ჩამოტანილი 2 ტონამდე ვერმიშელი კი გაიცა რაისაავადმყოფოსა და საბავშვო ბაღებზე, მიცვალებულთა ოჯახებზე ... ჭირის დღისთვის, ლტოლვილებზე, ქვრივ—ობლებსა, მარტოხელებსა და ინვალიდებზე. და არა მხოლოდ მათზე... მოწყალებისთვის მოდიოდნენ ისინიც, ვისაც საამისო არაფერი ჭირდა.

### პირველად დიდი ხნის შემდეგ — დედათა მონასტერი ცაგერში?!

მეუფე დანიელმა თითქმის ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, მისიის წევრებს—მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონს დედა ეკატერინეს და მორჩილებს ნინოსა და ანას ცაგერში დარჩენის კურთხევა მისცა. იღუმენია დედა ქეთევანი (ზოია კოპალიანი) სიხარულით შეხვდა მეუფის გადაწყვეტილებას მის მშობლიურ ქალაქში სამონასტრო ცხოვრების აღორძინების თაობაზე. ასე რომ, ცაგერში ცხოვრობენ მონაზვნები, თუმცა მონასტერი ჯერ კიდევ არ არსებობს. არის სახლი, რომელსაც სჭირდება შეკეთება. ღვთის წყალობით დედა ეკატერინე ფრიად კმაყოფილია—ჯერჯერობით ყველაფერი აქვთ—კეთილმა ადამიანებმა არაფერი დაიშურეს უჩვეულო სტუმრებისათვის და დღეს სახლში, სადაც ისინი დროებით ცხოვრობენ, მადლთან ერთად სითბოცაა და საზრდოც. დროთა განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდება, ალბათ ისეთებიც გამოჩნდებიან, ვისაც სამონასტროდ შერჩეული სახლის შესაკეთებლად სამშენებლო მასალა, შრომა არ დაენანება და ვინ იცის, იქნებ მოკლე დროში ჩვენთანაც აღორძინდეს სამონასტრო ცხოვრება. დედა ეკატერინემ მიამბო, როგორ სასწაულებრივად ინება წმიდა ნინოს ხატმა ცაგერში დარჩენა. ამ ხატს მისიონერები დაატარებდნენ ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც ჩასვლა მოუხდათ, ამ ხატით ნათლავდნენ ახლადმოქცეულებს და აღასრულებდნენ საღვთო რიტუალებს. დღეს კი ხატი ცაგერში დარჩა და მეც მინდა ვირწმუნო, ღმერთმა წყალობის თვალით მოგვხედა და მამა იონეს და დედათა ღვაწლით, ჩვენი მორწმუნეების მეცადინეობით კვლავ გაძლიერდება თითქმის დაკარგული რწმენა ჩვენს ხალხში, აღდგება კავშირი ღმერთსა და ჩვენს შორის.

**ია ხმელიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაიშილი

# რა რომ დავტოვე სკოლა

მასწავლებელი რომ ბაზარში ხორცს მოიპარავს, პროფესორ-მასწავლებელი რომ ქუჩაში დადგება და ქორ ვაჭრობას დაიწყებს ასანთით, პაპიროსით,... მასწავლებელს რომ შია, საპონი არა აქვს, წვირე (გთხოვთ, ჭუჭყი არ დაბეჭდოთ, წვიოეს უცხო ვერ გაიგებს) რომ ჭამს, კომუნალურ მომსახურებას რომ არ უწევენ, არც ფულად აძლევენ, ხელფასს რომ ორი-სამი თვის დაგვიანებით ინფლაცირებულს გადმოუგდებენ, სინათლე რომ ხშირად ქრება და ნავთი არა აქვს, „ლამპა" რომ აანთოს, ასანთი არა აქვს, ცეცხლი რომ დაანთოს, ოთხ-ხუთ თვეში რომ ერთხელ ხუთიოდე კილოგრამ პურის ფქვილს, წონაში დაკლებულს, ოთხმაგ ფასად (1 კგ 2000 კუპონად) მიჰყიდიან, შაქარს რომ შეაბრეშუმეებს მისცემენ და მოსწავლეებს ჩაი ენატრებათ, კამფეტზე და ტკბილ ნამცხვარზე ოცნება ზედმეტია, მეხსიერებაგამოფიტულ ბავშვებს რომ ველარ აგებინებ, ბავშვები რომ კარგად ხედავენ და რწმუნდებიან, უსწავლელი „გენერლები" ავტომატებით, „ლიმონკეითა" და რევოლვერეიით დათარეშობენ და სპეკულანტი „ბიზნესმენები" მშვენივრად ცხოვრობენ, დროს ატარებენ, მასწავლებლის გარდა სამსახურში, შტატიანი, პასუხისმგებელი პირებიც თვეობით რომ არ ცხადდებიან და ანკარის, სტამბულის, სამსუნისა თუ ნეაპოლის ბაზრებზე გვყიდიან და დოლარები ჩამოაქვთ... და კიდევ რამდენი ჩამოთვალო...

აი, ამიტომ დავტოვე სკოლა, რომელზედაც ფანატიკურად ვიყავი შეყვარებული და ჩემი სიცოცხლის სამოცი საუკეთესო წელი იქ გავატარე.

მაშ, რით ვიარსებო? პენსიით, რომელსაც ოთხ-ხუთ თვეში ერთხელ თუ გაიხსენებენ, რომ მოგვაწოდონ? არა! გავაჩაღოთ კვეს-აბედი, გავაჩანაგოთ ისედაც გაჩანაგებული ტყე, დავთესოთ ბამბა, მოვაშენოთ ცხვარი, ძროხა, მოვიქსოვოთ სამოსი, შევიკეროთ ქალამნები, აზოტისაგან გამოფიტული მიწა დავამუშაოთ და ვიცხოვროთ, ოღონდ ძველებურად გვიყვარდეს ერთმანეთი.

თინა ასათიანი,
სოფ. ორხვი.

---

ბავშვები მგრძნობიარე ბარომეტრივით აღიქვამენ ჩვენი ყოფის ტკივილიან დღეებს, მათ ნორჩ გულზე მძიმე კვალი დატოვა ლტოლვილ თანატოლთა ცრემლმა. ენატრებათ პატარებს მხიარული დღეები, ბავშვური სიანცე, ლამაზი, სურათებიანი წიგნები, ყველაფერი ის, რაც განუყოფელია ბავშვობასთან. დღეს, უფროსების უპირველესი საზრუნავიც ისაა, რომ დარჩეს მომავალი თაობის მეხსიერებაში ბავშვობა, როგორც ომის მძიმე ტალღით დამძიმებული წლები.

# მუსიკის სიყვარულით

ამ ცოტა ხნის წინ სარაიონო კულტურის სახლთან შეიქმნა გიტარაზე დაკვრის შემსწავლელთა წრე, რომელშიც ასამდე მოზარდია გაერთიანებული. წრეს ხელმძღვანელობს გულადი გოგოხია.

თავად გულადი ლტოლვილია გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულიდან, წლების მანძილზე მშობლიური სოფლის კულტურის სახლთან არსებულ საესტრადო ანსამბლში უკრავდა. მას ლეჩხუმელი მეუღლე ჰყავს და აფხაზეთიდან დევნილმა საკუთარი ოჯახით მეუღლის მამა-პაპურ ფუძეს მოაშურა, კეთილ მასპინძლად დაუხვდნენ აქაურები, სანაცვლოდ გულადმა თავისი სამსახური შესთავაზა, გადაწყვიტა ლეჩხუმელი ბავშვებისათვის გიტარაზე დაკვრა ესწავლებინა. ამ წინადადებას რაიონის კულტურის განყოფილების მესვეურებმაც დაუჭირეს მხარი და ყოველი კვირის ოთხ დღეს ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში მიმდინარეობს მეცადინეობები.

—როდესაც გიტარის მოყვარულები მოვიწვიეთ— გვეუბნება გულადი, საბედნიეროდ, მსურველთა რიცხვი დიდი აღმოჩნდა, ოთხ სამეცადინო ჯგუფში გაერთიანებულია 8-დან 16 წლის ბავშვები, დღეში ორ ჯგუფს ვამეცადინებთ ორი საათის განმავლობაში დროთა განმავლობაში, გამოირჩევიან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები, სწორედ მათგან გვსურს შევქმნათ საესტრადო ანსამბლი. მომავალში არაერთი კარგი მიზანი გვაქვს, რის განხორციელების იმედსაც წრის წევრთა მუსიკით დაინტერესება იძლევა. ამჟამად გიტარის დაკვრის, რომ იტყვიან, „ანა-ბანას" ვასწავლით.

გიტარა, როგორც გვითხრეს, ბავშვებს თავად მოაქვთ, რა თქმა უნდა, ვისაც აქვს. სამწუხაროდ, ინსტრუმენტის შეძენის სხვა გზა არ არსებობს.

გვჯერა, წრის ხელმძღვანელთა ენთუზიაზმი და ბავშვების უსაზღვრო სურვილი—დაეუფლონ გიტარას—დაწყებულ საქმეს სასიკეთო გზას უკვალავს.

ლ. ცხვედიანი.

---

პუბლიცისტური ბელეტრისტიკა

ბაჩუკი დაბრუნდა. ციხიდან სულ ახლახან გამოსული ბაჩუკი ცნობილაძე ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მშობლიურ სოფელს. ძალალი ხეების გვერდით ძლივს მოჩანდა საკუთარი სახლი. აქედან ფეხით კიდევ ნახევარი საათი უნდა ევლო და წელიწადნახევრის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდა ოჯახს.

# დაბრუნება

იმედით შემომეგებებიან შვილზე ფიქრებით გაწამებული დედ-მამა, გაიხარებენ ნათესავები და მეზობლები.

ვიწრო ბილიკით სახლისაკენ მიმავალს თვალწინ წარმოუდგა განვლილი წლები. პატიოსან, მშრომელ ოჯახში გაზრდილს კარგად ახსოვს, თუ როგორ წვალებაში იყვნენ მშობლები, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ შვილებისათვის მინიმალური პირობები მაინც შეექმნათ.

სკოლაში კარგად სწავლობდა, თავისი ნიჭისა და მახვილგონიერების წყალობით უფრო მეტი შეეძლო, რომ არ ეზარმაცა. როგორც ყველა ბავშვს, მასაც ჰყავდა საყვარელი მასწავლებელი, მაგრამ იგი მისი ცხოვრების ეტალონი ვერაფრით ვერ იქნებოდა გახუხებული პალტოთი, გადაქექილი კოსტუმ-შარვლითა და უბრალო ფეხსაცმლით შემოსილს ხელმოკლეობის ელფერი ედო. მართალია, პატიოსნებას, სიკეთეს, სიყვარულს ჰქადაგებდა, მაგრამ ბაჩუკისათვის ამოუცნობი და საკვირველი იყო, რა მიზანი ამოძრავებდა ამ კეთილშობილ ადამიანს, როცა მისი ხელფასი სამსახურში სიარულის ხარჯებს თუ აანაზღაურებდა მხოლოდ.

ბაჩუკი თავისი ცოდნით მოხვდა ინსტიტუტში. ისე ამ ბოლო დროს ყველაფერმა დაჰკარგა ფასი. ქვა რომ ისროლო, უმაღლეს სასწავლებელს მოხვდება. ქუჩის აქეთა და იქეთა მხარეს ყველგან ინსტიტუტი და უნივერსიტეტია. ახლა სწავლების დონეს არ იკითხავთ? უფრო ხშირად სწავლის ხარისხი და ინტერესი სამწუხაროდ ძალზე დაბალია.

შემდგომში რა იქნება? ამდენი ფულიანისა და დიპლომიანის შემხედვარს ქრონიკული უძილობა ხელში გიკავია, ახლა შეიძლება გეღირსოს უაზრო, უპერსპექტივო სამუშაო.

ვინ ურჩევდა თავის შვილს მუშაკაცი გამხდარიყო, ჰოდა, ჩვენში მშრომელი ადამიანის საპატივცემულოდ სადღეგრძელო მხოლოდ და მხოლოდ სუფრაში შემორჩა, მაგრამ ისიც თამადას გააჩნია.

ასეა თუ ისე, კიდევ ყველაფერს გაუძლებს კაცი, მაგრამ როცა გშია, კუჭი გიხმება, თანაც ვერაფერს ყიდულობ კატასტროფული ფასებისა და ცარიელი ჯიბის გამო, ადამიანმა სახე რომ არ იცვალოს, შეუძლებელია.

ბაჩუკი თანმიმდევრულად შეერწყა ქუჩის ფსიქოლოგიას, თანდათან ჩასწვდა მის საიდუმლოებას. აქ მან არაერთი რისკიანი, თავხელაღებული პიროვნება გაიცნო, მის შეგნებაში ხელი მოიკიდა პრეტენზიულმა აზრმა: „თუ ხარ, უნდა იყო".

ყველაზე მწარედ ახსოვს ბალის კიდეზე მეგობრებთან მყოფს მოულოდნელად დედა დაადგა თავს. თვალცრემლიანმა გაჯავრებით მიახალა საძმოში ყველაზე გამოცდილ, აღიარებულ ტოლიკას: „დამიბრუნეთ ჩემი შვილი". შემდეგ ხმა არ ამოუღია, მხრებაჩეჩილმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს პასუხად სხვათაშორის ეუბნებოდა: „არაფერი არ ვიცი, არაფერი არ [illegible]ლიაო" და იმ ადგილ[illegible] ეცალა. ბაჩუკს ძური მოედო, ყელში სისხლი მოაწვა, მაგრამ რა უნდა ეთქვა დედისათვის. გაოგნებული, თავზარდაცემული ტოლიკას აედევნა, რათა დაემშვიდებინა და დედისაგან მიყენებული შეურაცხყოფისათვის ბოდიში მოეხადა.

პირველ ხანებში, როცა საქურდლად მიდიოდა, მთელი სხეული უცახცახებდა, ციძობდა, შემდეგ თანდათან შეეჩვია და ბოლოს ისე გაითავისა, ავი საქმის კეთება მოთხოვნილებად ექცა. თავისი ქცევით კმაყოფილს ხანდახან ზარივით ჩაესმოდა ერთი ჭკვიანი კაცის მიერ დარიგების ტონით ნათქვამი სიტყვები: თუნდაც ამ უკიდურესი გაჭირვების, შიმშილის უწესრიგობის პირობებში ყველა ნიჭიერი, უნარიანი, პატიოსანი კაცი რომ ჩამოშორდეს საერთო სასიკეთო საქმეს, ხომ გადაშენდა ერი, დაიღუპა ქვეყანა, მაგრამ ვითომ არაფერი, ჩვეული ჟინით განაგრძობდა გზააბნეულ ცხოვრებას.

მიუხედავად მოქნილი, საზრიანი მოქმედებისა, მაინც გაიჭედა, დააპატიმრეს. თავისთვის ნაღვლიანად იტყოდა „რაღა მაინცდამაინც მე ამომარჩიათ მაგ ოხერმა" თუმცა ეამაყებოდა კიდეც, რომ ყველაფერი თვითონ იკისრა.

ციხეში გამოსწორებული კაცი ვის უნახავს, არც ბაჩუკი ცნობილაძე ჰგავდა აკადემიის კურსდამთავრებულს, მაგრამ ისე დაღალა აფორიაქებულმა ცხოვრებამ, ისე მოენატრა სულიერი სიმშვიდე, სითბო და სიყვარული, რომ მონახოს ნორმალური არსებობის რაღაც საშუალება, უსათუოდ უარს იტყვის ძველ ყოფაზე. დანარჩენს ალბათ მომავალი ცხოვრების გზა უჩვენებს.

ბ. კვირკაშვილი.

---

# სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

**1994 წლის 25 აპრილს 12 საათზე ცაგერის რაიონული საკრებულოს სააქტო დარბაზში აწყობს ცაგერის ავტოტექმომსახურების სახელოსნოს საკონკურსო გაყიდვას.**

ავტოტექმომსახურების სახელოსნო ექსპლუატაციაში შევიდა 1972 წელს. ობიექტი წარმოადგენს ცალკე მდგომი შენობებისა და ნაგებობების კომპლექსს, უკავია 1260 კვადრატული მეტრი ფართობი, მათ შორის შენობა —ნაგებობებს — 369,1 კვადრატული მეტრი. ობიექტი ამჟამად არ ფუნქციონირებს და იმყოფება დაკონსერვებულ მდგომარეობაში.

**საკონკურსო პირობები:**

ობიექტს შეუნარჩუნდეს არსებული პროფილი სამი წლით;

არ გაიყიდოს და არ გასხვისდეს 5 წლის განმავლობაში.

საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს 99603900 კუპონს.

მყიდველი გასაყიდი ფასის 40 პროცენტს გადაიხდის ნაღდი ანგარიშსწორებით.

მყიდველი წინასწარ გადაიხდის „ბ" საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტს და სავალდებულო სახელმწიფო მისაგებელს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული მანეთის კუპონთან კურსის მიხედვით.

მყიდველმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი განყოფილებაში საკონკურსო პირობების დაცვით.

საკონკურსო პირობების მიღება და სათანადო კონვერტში დალუქვა მოხდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა თანდასწრებით.

განცხადებების მიღება შეწყდება კონკურსამდე სამი სამუშაო დღით ადრე.

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონული განყოფილება.**

მისამართი: ქ. ცაგერი რუსთაველის 46, ტელეფონი: 20—66.

## მილოცვა

**მერი, სოზარ ცვარიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კიდევ ერავალი შეგძინოთ.
**ნათელა ქარსელაძე ოჯახით.**

---

**ნატო ცვარიანს, კახა ჭაბუკიანს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაიზარდოს სასახელო.
**ნათელა ქარსელაძე ოჯახით.**

---

**ტანია, მარგო, ნათელა, შამილ შარდენ კოპალიანებს**
გილოცავთ პატარა ნიკას დაბადებას. აღგეზარდოთ ოჯახისა და ერის სასახელო შვილი.
**ზაურ ბენიძე ოჯახით.**

---

**ჯუმბერ, ქეთინო სალინაძეებს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო.
**ნანი, ბადრი სალინაძეები.**

---

**გოგუცა, დუგლას ომანაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.
**ზაურ ბენიძე ოჯახით.**

---

**ცირა, ლადო კოპალიანებს**
გილოცავთ მარიკასა და მაიას ბედნიერებას.
**შოთა კოპალიანი, გურამ სალინაძე ოჯახებით.**

---

**დუგლას, გოგუცა ომანაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.
**შალვა, სოზარ ომანაძეები ოჯახებით.**

---

**რევაზ ახვლედიანს!**
გილოცავ დაბადების დღეს.
**ირმა ლიპარტელიანი.**

---

**საშა, თამილა, ფატიმა, გურამ, ბესიკ, ბაკურ ტვილდიანებს.**
გილოცავთ სოფიკოს ბედნიერებას.
**ჯიმშერ გიორგობიანი ოჯახით.**

---

**სოფო, მერაბ ახვლედიანებს**
გილოცავთ ბედნიერებას. უფარავდეთ ღმერთი.
**ზაზა, კახა, ზვიად გიორგობიანები.**

---

**ნათია ჯიაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე, იბედნიერე.
**ბელა ხაბულიანი, ავთო ახვლედიანი ოჯახებით.**

---

ოცდაზღვევის ფონდის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი სალინაძეს შამიდის
**ლუბა ჭაბუკიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ, სოსო ბერიძეები, დათო ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს
**ჯიმშერის**
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ციცო ურთმელიძეს მამის
**კოწია ურთმელიძის**
და ლიუჩკა გოგიძეს ძმის
**დავით კანაჩაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ბიჭიკო, გივი, ნათელა, გულიკო ქარსელაძეები, რაფიელ კოპალიანი, ჯემალ ქვარიანი, გოჩა თევდორაშვილი, თენგიზ მეშველიანი, კოგა ხურციძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, სოსო თვარაძეებს ბებიის
**ლუბას**
გარდაცვალების გამო.

---

შვილები ზაირა, ფაქიზო, ... რძალი ნორა გასპიანი, სიძეები სოსო თვარაძე, რუბენ ლაჭყეპიანი, ანზორ მუშკუდიანი, გურამ მახაბაძე, შიო ომანაძე, შვილიშვილები მანანა, ტარიელ, ავთანდილ, ლია, ნუცა, სოფო, აზა, ... ციხა... ამირანი, შვილთაშვილები თორნიკე, თამუნა, ნათია მამუკა, ზაზა, გია, ირმა, მაზლი ანზორი, მულები, მულისშვილები, რძლები, მაზლისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ლუბა ნესტორის ასული სვანიძე—ჭაბუკიანი**
დაკრძალვა 10 მარტს, ხუთშაბათს, სოფ. დეხვირში.

---

სიდედრი მარო, სიმამრი გრიშა, ცოლისძმები გენადი, მურადი, როლანდი კვირკაშვილები, რძლები ლალი, მარინე, ნატო, სიძე თენგიზ სანიკიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჯიმშერ არტემის ძე გურჯალიანი.**

---

მეუღლე თამარი, შვილები ვაგული, ცინური, ქეთინო, ნატო, ძმები ჯიბილო, კაპიტო, რძლები ანტისა, ლაზარა, მანოჟა, სიძეები ჟორა ახვლედიანი, კორნელი კოპალიანი, შვილიშვილები თენგიზ, რიტა, მარინე, თამარ ახვლედიანები, ლევან, მონიკა კოპალიანები, თეა, ნესტან, შავლეგო, ფ...ქრია ყურაშვილები, ...ისშვილები ნანული, ზურიკო, ტარიელი, მედონა, ლაურა, შორენა ჩაკვეტაძეები, ცოლისდა ლილი, ქვისლები გრიგოლ კოპალიანი, შოთა სალინაძე, პოლიისძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შოთა ტარასის ძე ჩაკვეტაძე**
დაკრძალვა 12 მარტს, შაბათს, სოფ. ჭალისთავში.

---

...ლექსანდრე, აქსენტი, პო...ფილე, გიზო, ბელა გოლეთიანები, თამაზ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, გენადი კვირკაშვილებს
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის პირველი ბ კლასის მოსწავლეები, მასწავლებელი და მშობლები თანაუგრძნობენ მონიკა კოპალიანს ბაბუის
**შოთა ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

კაკო ჩარკვიანი, ლუღუნა სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანების ოჯახს
**ჯიმშერის**
გარდაცვალების გამო.

---

...ითარ ხაბულიანი, დანიელ ...ინიანი, ნუგზარ გახსოლიანი, გია სალინაძე, გივი სვანიძე ოჯახებით იუწყებიან
**ლუბა ნესტორის ასული სვანიძე—ჭაბუკიანის**
გარდაცვალებას.

---

სანევიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა გოლეთიანს ძმის
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ცინური ჩაკვეტაძეს მამის
**შოთა ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ, ბორის გოგიძეები ოჯახებით იუწყებიან
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალებას.

---

ცაგერის რაიონის პოლიციისა და საკუთრების დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორის ყურაშვილს მამის
**გრიგოლ ყურაშვილის**
და ნატო ჩაკვეტაძეს მამის
**შოთა ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ ასათიანი ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ესებუას და მაია ყურაშვილს დედისა და დედამთილის
**ნარი ესებუას**
გარდაცვალების გამო.

---

არჩილ, ჯუსტან, ნოდარ, თათარო ნემსწვერიძეები, ანზორ, გურამ ტვილდიანები, კახა უჩაძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**დემურ ნემსწვერიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ ასათიანი, კარლო ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს ძმის
**ჯიმშერის**
გარდაცვალების გამო.

---

მარიამ, ბელა, ცირა, კარლო ...ეცურიანები ოჯახებით იუწყებიან
**გრიშა ყურაშვილის**
გარდაცვალებას.

---

წიფერჩის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალვინა ეფაძეს მამის
**შალვა ეფაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის მე—11—ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა ხუბუკელაშვილი თანაუგრძნობენ მარიკა, მანუჩარ გოლეთიანებს ბიძის
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ თაგვაძე, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი, გენადი კვირკაშვილებს სიძის
**ჯიმშერ გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო

---

ცაგერის კოლმეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, სოსო თვარაძეებს ბებიის
**ლუბა სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაიონული აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცისმარა ყურაშვილს მძახლის
**ნარი ესაბუას**
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიშა მუშკუდიანს მეუღლის
**თინა ირემაძის**
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ნაკურალეშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიშა მუშკუდიანს მეუღლის
**თინას**
გარდაცვალების გამო.

---

წიფერჩის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ [illegible]
**მიზდონ გაზდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბაღის თანამშრომელი
**ეთერ ვასაძე.**

---

ცაგერის სასურსათო კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მალვინა, ჟორა კუხალაშვილებს
**შალვა ეფაძის**
ბიტუ მეშველიანს რძლის
**გოგუცა მეშველიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მანანა ჭაბუკიანს ბებიის
**ლუბა ჭაბუკიანის**
გარდაცვალების გამო.

---

კარბიზა ჭაბუკიანი, ციცო კანდარია, ლამარა ასათიანი, ნანი ხაბულიანი, ლუარა კოპალიანი, ზაირა გენდელიანი თანაუგრძნობენ ლალი, გენადი კვირკაშვილებს სიძის
**ჯიმშერის**
გარდაცვალების გამო.

---

სპორტკომიტეტის, სპორტსკოლის და საზოგადოება „შევარდენის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა თუთისანს დედის
**ეთერის**
გარდაცვალების გამო.

---

პიზო მდივანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**გალინე მურცხვალაძის**
**თინა მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ბორის ჭაბუკიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჟუჟუნა გურულის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები თინა დოლბაია, ლამარა დოლიძე თანაუგრძნობენ მურადი მუშკუდიანს ბებიის
**თინას**
გარდაცვალების გამო.

---

შალვა, სოზარ ომანაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა, მალვინა კუხალაშვილებს მამის
**შალვას**
გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საკრებულოს, საექიმო უბნის, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნორა ჩასვიანს, ლია მუშკუდიანს
**ლუბა ჭაბუკიანის**
და
**ეთერ სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ოლია, ნოდარ კვირკაშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**შალვა ერმილეს ძე ეფაძის**
გარდაცვალების გამო.

---

[illegible]—რედაქციის კოლეგია

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია:
834100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 2—81.

ცაგერის რაიონული სტამბა